შოკოლადის ბორცვები

გინახავს ისეთი უჩვეულო ადგილი ბუნებაში, რომელიც არასოდეს დაგავიწყდება? ამ ტექსტში ბუნების ერთ-ერთ ასეთ საოცრებას გაეცნობი.

ჩვენს პლანეტაზე ბევრი **საოცარი** ადგილია. სწორედ ასეთია ფილიპინების ერთ-ერთი კუნძული ბოჰოლი. კუნძულზე 1268 ბორცვია. თითოეული გორაკის სიმაღლე 30 მეტრიდან 120 მეტრამდეა. ყველა ბორცვი ფორმით ძალიან **ჰგავს** ერთმანეთს. ერთხელ აქაურობა ერთმა ტურისტმა შოკოლადს შეადარა. ფიქრობენ, რომ, ალბათ, ამის შემდეგ **ეძახიან** გორაკებს შოკოლადის ბორცვებს. მართლაც, როდესაც ბალახი ხმება, გორაკები შოკოლადის ფერს იღებს.

ბორცვების შესახებ რამდენიმე ლეგენდა **არსებობს**. ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, **გოლიათ** აროგოს ულამაზესი ქალი ალოია შეუყვარდა. ალოია აროგოზე ადრე გარდაიცვალა. ქალის სიკვდილის გამო გოლიათი დღე და ღამე ტიროდა. მისი ცრემლები კი გაქვავდა. ბორცვები სწორედ ეს გაქვავებული ცრემლებია.

მეცნიერთა ნაწილი **თვლის**, რომ წინათ ამ ადგილას ზღვა იყო. შემდეგ ზღვა დაშრა და მარჯნის რიფები გორაკებად იქცა. ზოგ მეცნიერს კი მიაჩნია, რომ გორაკები ვულკანის შედეგად **წარმოიქმნა**. თუმცა ზუსტი პასუხი არავის აქვს იმაზე, თუ როგორ გაჩნდა ბორცვები.

შოკოლადის ბორცვები მოსწონს უამრავ ტურისტს. აქ მათთვის არის ბევრი სასტუმრო, რესტორანი, საჩუქრების მაღაზია. ერთ-ერთ გორაკზე მოედანიცაა. იქიდან ლამაზი სურათების გადაღება შეიძლება. ასე რომ, ტურისტებს დასვენების ყველა პირობა აქვთ კუნძულზე.

რატომ ითვლება შოკოლადის ბორცვები ბუნების საოცრებად?

დონე: *B გამარტივებული*, **კომპონენტი:** *ფუქტი, მოსა ზრება*

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რის შესახებ არის გამოთქმული <u>მოსაზრება</u> ტექსტის პირველ აბზაცში?

ა) რატომ ჰქვია გორაკებს შოკოლადის ბორცვები.

ბ) როგორია შოკოლადის ბორცვები ზომით.

გ) სად არის შოკოლადის უცნაური ბორცვები.

2 რომელი წინადადება გადმოსცემს <u>ფაქტს</u>?

ა) ალბათ, შოკოლადის ბორცვები ვულკანისგან წარმოიქმნა.

ა) შოკოლადის ბორცვების ადგილას ადრე, სავარაუდოდ, ზღვა იყო.

გ) შოკოლადის ბორცვები ფორმით ძალიან ჰგავს ერთმანეთს.

3 მესამე აბზაცის მიხედვით, რის შესახებ გამოთქვამენ მეცნიერები მოსაზრებას?

ა) ბორცვების ასაკის შესახებ.

ბ) ბორცვების სახელწოდების შესახებ.

გ) ბორცვების წარმოქმნის შესახებ.

4 ბოჰოლი იმიტომ მოსწონთ ტურისტებს, რომ:

ა) ამ კუნძულზე არის საჩუქრების მაღაზიები.

ბ) ამ კუნძულზე არის უცნაური ბორცვები.

გ) ამ კუნძულის შესახებ არსებობს ლეგენდები.

5 ტექსტში <u>არ ჩანს</u>:

ა) რამდენი შოკოლადის ბორცვია კუნძულზე.

ბ) რა მოსაზრებები არსებობს ბორცვების შესახებ.

გ) როდის აღმოაჩინეს კუნძულზე უცნაური ბორცვები.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. ჩვენს პლანეტაზე ბევრი **საოცარი** ადგილია.
   ა) მნიშვნელოვანი. ბ) საკვირველი. გ) უძველესი.

2. იმ ადგილებში **გოლიათი** ცხოვრობდა.
   ა) ძალიან ლამაზი ადამიანი.
   ბ) ძალიან დიდი ადამიანი.
   გ) ძალიან ჭკვიანი ადამიანი.

3. ბორცვები **წარმოიქმნა** ვულკანის შედეგად.
   ა) გაიზარდა. ბ) გამრავლდა. გ) შეიქმნა.

2 ხაზებით დააკავშირე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები).

ჰგავს	არის
ეძახიან	მიაჩნია
არსებობს	მსგავსია
თვლის	ჰქვია

3 რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები)?

ა) ადრე – გვიან. ბ) ბორცვი – გორაკი. გ) წინათ – ძველად.

▶▶▶ გრამატიკა

1 რომელი სიტყვაა გამოტოვებული?

1. ერთხელ აქაურობა ერთმა---------- შოკოლადს შეადარა.
   ა) ტურისტი. ბ) ტურისტმა. გ) ტურისტს.

2. ---------- ულამაზესი ქალი შეუყვარდა.
   ა) გოლიათი. ბ) გოლიათმა. გ) გოლიათს.

გრამატიკა

2 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვა.

1. უამრავ ---------- მოსწონს კუნძული ბოჰოლი. ***(ტურისტს/ტურისტებს)***

2. ყველას ---------- შოკოლადის ბორცვები. ***(მოსწონთ/მოსწონს)***

3 დაასრულე ხაზგასმული სიტყვა.

აქ **<u>ტურისტების. . .</u>** არის მრავალი ლამაზი სასტუმრო.

4 დაწერე სწორი ფორმით. დააკვირდი კითხვებს.

1. მარჯნის რიფები (გორაკები) ---------- იქცა. ***(რად?)***

2. ყველა ბორცვი (ფორმა) ---------- ჰგავს ერთმანეთს. ***(რით?)***

წერა

1 ამოიწერე ტექსტიდან ორი მოსაზრება შოკოლადის ბორცვების შესახებ. დაწერე შენი აზრი, თუ რომელი არის სიმართლესთან უფრო ახლოს და რატომ.

---

2 დაფიქრდი, რომელია შენს კუთხეში ყველაზე ლამაზი ადგილი. აღწერე ეს ადგილი. გააფორმე შენი ნამუშევარი ნახატით.